წლიური ანგარიში

2005 2006

ANNUAL REPORT

contents

გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა — 2
Message from the Chair

ჩვენს შესახებ — 3
About TI Georgia and TI Secretariat

კორუფციის შესახებ კვლევის შედეგები — 5
Corruption Survey Results

2005 წლის პროექტები — 12
2005 Projects

სხვა საქმიანობა და ღონისძიებები — 21
Other Activities and Events

სამომავლო გეგმები — 25
Future Activities

გამგეობის წევრები და თანამშრომლები — 28
Members of the Board and Executive

დონორები — 30
Donors

ფინანსური მონაცემები — 31
Financial Data

გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობისა და თანამშრომლების სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ჩვენი საქმიანობით დაინტერესდით. ეს წელი მნიშვნელოვანი იყო როგორც ჩვენთვის, ორგანიზაციისთვის, ისე მთლიანად საქართველოსთვის. მართლაც, 2005 წელს არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა წარმატებით განხორციელდა, თუმცა კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მომავალ დემოკრატიულ განვითარებას.

წელს საქართველომ გაათვიცნობიერა, რომ რევოლუცია უკეთესი მომავლის შენების შედარებით ადვილი ნაწილი იყო. დღეს, ალბათ, ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც ხელისუფლების პროგრესულ მიზნებსა და სურვილებში ეპარება ეჭვი, თუმცა კითხვები იბადება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ცდილობს და ახერხებს ეს ხელისუფლება ძლიერი ინსტიტუტების შექმნას. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება თანამდებობის პირების უფლებამოსილების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და ხელისუფლებისა და ბიზნესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. საქართველოს ეს საკითხები ჯერ არ მოუგვარებია. შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის გამჭვირვალობის ეფექტური მექანიზმებისა და მყარი ინსტიტუტების შექმნის ხელშეწყობაა, რაც საქართველოს მოქალაქეებისათვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას წარმოადგენს.

მარკ მალენი
გამგეობის თავმჯდომარე

Message from the Chair

On behalf of the board and the staff of Transparency International Georgia, I want to thank you for taking an interest in our work. This year was an important year both for us and for Georgia. Indeed, 2005 saw the implementation of a number of successful reform efforts targeting specific sectors, but many problems hindering Georgia's democratic development still remain.

This year, Georgia has truly understood that revolution is the easy part. There are few that question this government's progressive instincts but many could justifiably question if strong institutions are being built. Ultimately the best way to fight corruption is to limit the discretion of officials and to be sure that the normal operations of business and the state are sufficiently transparent that there are few questions as to how or what decisions have been made. Georgia is clearly not there yet. So our work continues assisting both the Georgian State and the population of Georgia to strengthen transparency mechanisms and build institutions that can improve people's lives.

MARK MULLEN
Chair
Board of Directors

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისი დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად ის სწავლობს სხვადასხვა სფეროებში კორუფციის გავრცელების დონეებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, ამ მიზეზების აღმოფხვრის მექანიზმებს და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას და საზოგადოებას. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს მოქალაქეებს აცნობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონებს, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ სიახლეებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას; იკვლევს საერთაშორისო გამოცდილებას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოში; ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას და მოსახლეობას; ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც ასევე მიმართულია ქვეყანაში კორუფციის დაძლევისკენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან, ხელისუფლებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

Transparency International Georgia (TI Georgia) was established on 7 May 2000. We are committed to combating corruption in Georgia through the promotion of transparency and accountability. Our mission is to serve as the primary source of information on corruption reform in Georgia, to assist the government and the broader public in facilitating reform in sectors where corruption exists, and to build and strengthen institutions.

To fulfill this mission, Transparency International Georgia: establishes programmatic activities that target structural corruption in specific sectors; promotes access of local populations to information on corruption and on legislation intended to address corruption; encourages input on reform from local and international experts; assists the Government in drafting policy; and produces analysis and public policy recommendations on current activities and on future reform.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნულ ბიუროს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოძრაობა აერთიანებს 85-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით, დაძლეულ იქნას სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებასა და მხარეების მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეული ქვეყნების დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ.

TRANSPARENCY INTERNATIONAL SECRETARIAT

TI Georgia is a national chapter of **Transparency International**, the only international non-governmental organization devoted to combating corruption. It brings together civil society, business, and governments in a powerful global coalition. TI, through its International Secretariat and more than 85 independent national chapters around the world, works to stem both the supply and demand of corruption at the local, national, and international levels. In the international arena, TI raises awareness about the damaging effects of corruption, advocates policy reform, works towards the implementation of multilateral conventions, and monitors compliance by governments, corporations, and banks. At the national level, chapters work to increase levels of accountability and transparency, monitoring the performance of key institutions and pressing for necessary reforms in a non-partisan manner.

კორუფციის შესახებ კვლევის შედეგები

Corruption Survey Results

2005 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსი“

2005 წლის 18 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა 2005 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) კვლევის შედეგები. კვლევა ახდენს ქვეყანათა რანგირებას კორუფციის იმ ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით, რომლითაც უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენები და ანალიტიკოსები აღიქვამენ კორუფციას ქვეყნის სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სექტორებში. წელს საქართველოს 2.3 ქულა აქვს შესაძლო 10 ქულიდან და 130-ე ადგილს იკავებს გამოკვლეული 158 ქვეყნიდან. წინა წლის შედეგებთან შედარებით საქართველომ 0.3 ქულით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

საქართველოს მოხვედრა სამ ქულაზე ნაკლებ ქვეყანათა ჯგუფში (ბურუნდისთან, კამბოჯასთან, კონგოსთან, ვენესუელასთან, პაპუა ახალ გვინეასთან და ყირგიზეთთან ერთად) იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში კორუფციის დონე ჯერ კიდევ მაღალია. შარშანდელთან შედარებით მცირეოდენი ცვლილება კი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, წინსვლა შესაძლებელია. თუმცა კორუფციულ სისტემათა აღმოსაფხვრელად დიდი ძალისხმევაა საჭირო.

CORRUPTION PERCEPTION INDEX 2005

On 18 October 2005, Transparency International published the results of the Corruption Perception Index 2005, which ranks countries in terms of the degree in which business people and country analysts, both residents and non-residents, perceive corruption to exist in the public and political sectors. This year Georgia received 2.3 points (out of total ten), ranking 130th among the 158 countries included in the survey. Compared to last year's results, Georgia improved by 0.3 points.

With a score below 3.0 that groups Georgia with Burundi, Cambodia, Congo, Venezuela, Papua New Guinea, and Kyrgyzstan, it is clear that there is still a strong perception of endemic corruption in this country. Although there remains much work to be done to modify corrupt systems, the modest improvement shows that change is possible with the appropriate political will.

საზოგადოების აღქმაში ეს უმნიშვნელო ცვლილება შესაძლოა განპირობებული იყოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული რამდენიმე ცნობილი ანტიკორუფციული ღონისძიებით, კერძოდ კი თანამდებობის პირთა დაკავებით და ცალკეულ სამინისტროებში მიმდინარე ინსტიტუციონალური ცვლილებებით. მაგრამ იმისათვის, რომ მთავრობის ანტიკორუფციული კამპანიის შედეგები იყოს მდგრადი, დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა განისაზღვროს ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა და შეიქმნას ძლიერი ინსტიტუტები. დღემდე მთავრობის ანტიკორუფციული სტრატეგია უფრო აღმკვეთი ხასიათის იყო, ვიდრე პრევენციული.

2005 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა მთავრობის პრიორიტეტები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ: *კორუფციის პრევენცია და ინსტიტუციონალური რეფორმა, ბიზნეს გარემოს ლებერალიზაცია და საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა ანტიკორუფციულ ღონისძიებებში*. სტრატეგიაზე დაყრდნობით მთავრობამ შექმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა განსაზღვრა.

This slight change in public perception can be attributed to several high-profile anti-corruption campaigns, including the prosecution of corrupt officials, and introducing reforms on the level of individual ministries. But in order for the Government's anti-corruption campaign to bear sustainable results, additional efforts need to be put into developing more comprehensive anti-corruption policies and building transparent institutions that will prevent corruption. To date, the Government's anti-corruption strategy has been more curative than preventive in focus.

In June of 2005 the President approved Georgia's National Anti-Corruption Strategy that identifies *Corruption Prevention and Institutional Reform*, *Liberalization of the Business Environment*, *Ratification and Implementation of International Anti-Corruption Conventions*, and *Promotion of Public Participation in Anti-Corruption Activities* as the main priorities of the Government's future anti-corruption campaign. Based on this Strategy the Government has developed an Implementation Action Plan that proposes specific activities for implementing the Strategy.

დღეისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის მიერ მოწონებული ანტიკორუფციული გეგმის განხორციელებაში აქტიურად ჩაებას როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ისე ფართო საზოგადოება. მაშინ, როდესაც საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და რეფორმების შესახებ, საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა ამ ცვლილებების განხორციელების პროცესში არასათანადოა. ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ საქართველოში უფრო წარმატებული იქნება, თუ ეს პროცესი ეფექტურად დაიგეგმება და საზოგადოებას საშუალება ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის რეალიზაციაში.

Now that these documents have been produced, it is of great importance that their implementation is broadly supported by the executive, parliament, and the public, and that they enjoy wide ownership. Without understanding what to expect from the Government's decisions, Georgian citizens are unable to support their Government in its period of reform. Georgia's fight against corruption will be more successful if this process is well-planned and inclusive, thus allowing the public to actively participate in eliminating corruption instead of remaining an isolated spectator.

CPI წარმოადგენს კომპლექსურ კვლევას, რომელიც ეყრდნობა ბიზნესმენთა და ანალიტიკოსთა გამოკითხვის შედეგებს. CPI ფოკუსირებას ახდენს სახელმწიფო სექტორში არსებულ კორუფციულ შემთხვევებზე და განსაზღვრავს კორუფციას, როგორც საჯარო თანამდებობის გამოყენებას პირადი მიზნებისთვის. CPI ეყრდნობა 16 სხვადასხვა გამოკვლევას, რომელიც ჩატარდა 10 დამოუკიდებელ ინსტიტუტში. CPI 2005 შეიცავს 2003, 2004 და 2005 წლის გამოკითხვის შედეგებს. ყველა მონაცემი განსაზღვრავს კორუფციის ზოგად დონეს, სიხშირესა და მასშტაბურობას, როგორც სახელმწიფო, ისე პოლიტიკურ სექტორში.

The TI Corruption Perception Index is a composite survey, reflecting the perceptions of business people and country analysts. It focuses on corruption in the public sector and defines corruption as the abuse of public office for private gain. The CPI draws on 16 different polls from 10 independent institutions, and gathers data from sources that span the last three years. The CPI 2005 includes surveys from 2003, 2004, and 2005. All sources measure the overall extent of corruption, frequency, and size of bribes, in the public and political sectors.

2005 წლის „გლობალური კორუფციის ბარომეტრი“

2005 წლის 9 დეკემბერს, საერთაშორისო ანტიკორუფციულ დღეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, საქართველოში იმ სექტორების მიმართ, რომლებშიც რეფორმა განხორციელდა, საზოგადოების ნდობა საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა შემცირდა ზოგადი ოპტიმიზმი სამომავლოდ ქვეყანაში კორუფციის შემცირების პერსპექტივასთან მიმართებაში.

2005 წლის ბარომეტრის თანახმად, ქართულმა საზოგადოებამ კვლევაში შეტანილი თხუთმეტი სფეროს რანგირება შემდეგი სახით მოახდინა: 1) სასამართლო სისტემა, 2) საბაჟო, 3) პოლიტიკური პარტიები, 4) საგადასახადო ადმინისტრირება, 5) სამედიცინო მომსახურება, 6) პარლამენტი, 7) კერძო სექტორი, 8) ლიცენზირების სფერო, 9) პოლიცია, 10) მედია, 11) განათლება, 12) მომსახურების სფერო, 13) არასამთავრობო სექტორი 14) სამხედრო სისტემა, 15) ეკლესია. ყველაზე კორუმპირებულად მიჩნეულ იქნა სასამრთლო სისტემა, ხოლო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულად – ეკლესია.

2004 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ. გასულ წელს პოლიცია ყველაზე კორუმპირებული სფეროების სათავეში იდგა, წელს მან მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. საზოგადოების აზრით, მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა ლიცენზირების სფეროში და განათლების სისტემაშიც.

2005 წელს ყველაზე კორუმპირებულად სასამართლო სისტემა დასახელდა. ამ სფეროში არსებული მდგომარეობა უარყოფითად შეაფასა გამოკითხულთა 51%-მა. ამ მაჩვენებლით სასამართლო 14%-ით უსწრებს მეორე ადგილზე გასულ საბაჟო სისტემას, რომელსაც მესამე ადგილზე გასული პოლიტიკური პარტიები მხოლოდ 1%-ით ჩამორჩება.

ეკლესია, არასამთავრობო სექტორი, მასმედია და სამხედრო სისტემა, გასული წლის მსგავსად, ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ სფეროებად იქნა მიჩნეული.

GLOBAL CORRUPTION BAROMETER 2005

On 9 December 2005, Transparency International Georgia unveiled the results of the 2005 Global Corruption Barometer (GCB) to mark International Anti-Corruption Day. According to the survey, progress has been made in those sectors that were targeted for reform; however, the overall rate of optimism regarding Georgia's future levels of corruption has dropped.

According to the Barometer, Georgians rated the following institutions as corrupt, in order of most to least corrupt: 1) Judiciary, 2) Customs, 3) Political Parties, 4) Tax Administration, 5) Medical Services, 6) Parliament, 7) Private Sector, 8) Registry and Permit Services, 9) Police, 10) Media, 11) Education, 12) Utilities, 13) NGOs, 14) Military, and 15) Religious Bodies.

In comparison with the results from last year's GCB survey, significant improvement was seen in perceptions of Police, which had previously been identified as the most corrupt institution. Improvements were sited in business and education sectors as well.

The Judiciary is considered to be the most corrupt institution in Georgia, followed by Customs and Political Parties. Fifty-one percent of Georgians surveyed this year identified the Judiciary as the most problematic sector. Unlike the second and third most corrupt sectors where the difference between the two is only one percent, the Judiciary is ahead of the second most corrupt sector, Customs, by as much as fourteen percent. Religious bodies, NGOs, and the military continue to be considered the least corrupt institutions.

ქრთამი

რესპონდენტთა 7%-მა დადებითად უპასუხა კითხვაზე „მოგიწიათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქრთამის მიცემა“. ეს ციფრი წინა წლის შედეგთან შედარებით შემცირდა, თუმცა 2005 წელს გაიზარდა გადახდილი ქრთამის ოდენობა. დასახელებული 7%-დან 27%-ს 1000 აშშ დოლარზე მეტი აქვს ქრთამის სახით გაცემული. შემთხვევათა 61%-ში ქრთამი მეორე მხარის მიერ იქნა მოთხოვნილი.

BRIBERY

Seven percent of respondents indicated that they or a family member had had to pay a bribe over the past 12 months. This number has decreased compared to last year's results; however, the amount of the bribe has increased. Of the seven percent of respondents who said that they or their family members had paid bribes, twenty-seven percent paid more than $1000. In sixty-one percent of cases, the bribe was directly requested.

კორუფციის გავრცელების დონე სექტორების მოხედვით (2005)
MOST CORRUPT SECTORS 2005



დამოკიდებულება მომავლის მიმართ

გასული წლის კვლევის შედეგებით საქართველო კორუფციის აღმოფხვრის შესაძლებობისადმი ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ქვეყანათა სამეულში მოხვდა. კორუფციისადმი საზოგადოების დამოკიდებულების თვალსაზრისით 2004 წელს საქართველომ წინა წელთან შედარებით უდიდესი ნახტომი გააკეთა. 2005 წელს ოპტიმისტურად განწყობილთა რაოდენობამ 22%-ით იკლო. ამგვარი ცვლილება, ნაწილობრივ, პოსტრევოლუციური ეიფორიის განელებით შეიძლება აიხსნას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წარმატებული რეფორმის მიუხედავად, საზოგადოება არ არის ბოლომდე კმაყოფილი ზოგადი ანტიკორუფციული პოლიტიკით.

კონკრეტულ სფეროებში ჩატარებულ რეფორმებს ხალხი დადებითად აფასებს, მაგრამ აქვე აღიარებს დამატებითი ცვლილებების აუცილებლობას. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სასამართლო სისტემა ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუტად აღიქმება და ეს ხდება მაშინ, როდესაც საკუთარი უფლებების დაცვის და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის აუცილებელია, რომ საქართველოს მოქალაქეებს სასამართლოს იმედი ჰქონდეთ და ამ სისტემას უყურებდნენ, როგორც კორუფციასთან ბრძოლის ერთერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

FUTURE OPTIMISM

Last year Georgia made the biggest leap in its perceptions about corruption and ranked as one of the three most optimistic countries in the world in terms of eradicating corruption. This year optimism related to future decline of corruption has decreased by twenty-two percent. In 2004, sixty percent of respondents expected corruption levels to decrease over the next three years. According to the 2005 Barometer, only **thirty-eight percent** of respondents now believe that corruption levels will decrease over the next three years.

Part of the explanation for this decline can be attributed to the end of the post-revolution euphoria. However, in spite of benefits from some reforms, the public remains concerned about the consistency of the government's anti-corruption campaign.

Those reforms that targeted specific sectors were well received by the general population, but the Georgian people recognize the need for future reforms. It is especially problematic that the public sees the Judiciary as the most corrupt institution: in order to affect change democratically, Georgian citizens need to be able to count on the Judiciary as an effective instrument to challenge corruption.



„გლობალური კორუფციის ბარომეტრი“ არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც იკვლევს მოქალაქეების დამოკიდებულებას ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგების მიმართ. საქართველოში, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კვლევა ჩაატარა GALLUP INTERNATIONAL-ის წევრმა ორგანიზაციამ GORBI.

The Global Corruption Barometer is a public opinion survey, which assesses the general public's perceptions and experience of corruption. It is carried out by Gallup International through Georgian Opinion Research Business International (GORBI) based upon methodology developed by Transparency International.

მაჟორიტარების პროექტი:
ინფორმირებული მოქალაქეები და ანგარიშვალდებული ხელისუფლება

განხორციელების პერიოდი: 1 ივნისი 2005 – 1 ივნისი 2008

დაფინანსების წყარო: დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში

ეს პროექტი კანონმდებლებს ეხმარება გააანალიზონ ახალი საკანონმდებლო ინიციატივების მოსალოდნელი შედეგები, შესაბამისად, აამაღლონ მიღებული კანონების ხარისხი და უკეთ დაიცვან საზოგადოების ინტერესები. პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გაიზარდოს საკანონმდებლო პროცესში რეგიონის მოსახლეობის მონაწილეობა, რათა შემცირდეს ის ბარიერი, რომელიც ინფორმაციის გაცვლის კუთხით არსებობს თბილისსა და რეგიონებს შორის.

MAJORITARIAN PROJECT:
INFORMED CITIZENS AND ACCOUNTABLE GOVERNMENT

Period of performance: 1 June 2005 – 1 June 2008

Source of funding: British Embassy Tbilisi

This project assists lawmakers in envisioning the wider consequences that proposed laws will have on the lives and livelihoods of the most significantly disenfranchised and vulnerable segments of the population. Through parliamentarian-constituent interaction, the quality of legislation will improve and the capacity of Parliament to serve the needs of its constituents will be increased. This project seeks to address the widening political and economic gap between Tbilisi and the regions by raising the profile of regional and rural issues on the political agenda, while strengthening civil society and public participation outside of Tbilisi.

სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობა

განხორციელების პერიოდი: 1 სექტემბერი 2005 – 1 სექტემბერი 2006

დაფინანსების წყარო: ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას საბიუჯეტო პროცესის შესახებ და ფინანსურ სფეროში მიმდინარე რეფორმების გამჭვირვალობის ამაღლებას.

პროექტი შედგება შემდეგი საფეხურებისგან: (1) ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით რეგიონებში მრგვალი მაგიდების მოწყობა, (2) ჟურნალისტებისთვის ინტენსიური ტრენინგების ჩატარება, (3) ყოველ სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საგაზეთო ჩანართების მომზადება, (4) საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების, საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ამ სფეროში დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების შესახებ ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გავრცელება.

TRANSPARENCY OF PUBLIC FINANCE

Period of performance: 1 September 2005 – 1 September 2006

Source of funding: Royal Netherlands Embassy

The project increases public awareness of the budgetary process in Georgia and disseminates information about the reforms carried out in the financial sector. The project involves the following stages: (1) conducting roundtable discussions with government representatives, businessmen, and tax inspectors in the regions, (2) conducting intensive trainings for journalists, (3) producing quarterly newspaper inserts that will cover all budget related issues, and (4) producing and disseminating monthly reports documenting budgetary incomes and revenues, achievement of intended results, transparency of the budgetary process, the reform process in the financial sector, and proposed legislation effecting public finance and planning.

ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტურობის კვლევა

განხორციელების პერიოდი: 1 სექტემბერი 2005 – 1 დეკემბერი 2006

დაფინანსების წყარო:
გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი

პროექტი ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული პროცედურების სფეროში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

პროექტი მოიცავს: (1) ყველაზე ინტენსიურად გამოყენებული სახელმწიფო მომსახურებისა და დოკუმენტაციის განსაზღვრას, (2) ამ მომსახურებისა და დოკუმენტაციის მიღების ეფექტურობისა და კანონთან შესაბამისობის შეფასებას, (3) არსებული ხარვეზების გამოვლენასა და მათი აღმოფხვრის გზების შემუშავებას. კვლევის შედეგები საქართველოს ხელისუფლებას დაეხმარება დახვეწოს ადმინისტრაციული პროცედურები ბიუროკრატიისა და კორუფციული გარიგებების შეზღუდვის გზით.

GOVERNMENT EFFICIENCY STUDY

Period of performance: 1 September 2005 – 1 December 2006

Source of funding: UK Department for International Development

The project highlighted problems related to current administrative procedures and suggested means for their eradication. It involved the following stages: (1) identifying the most demanded public services and documents, (2) evaluating the efficiency and practicality of the acquisition of these services and documents, and (3) developing recommendations to increase efficiency. The results of the study provided the Government of Georgia with useful information for reducing unnecessary bureaucracy and streamlining procedures, promoting transparency and limiting opportunity for corruption, and fostering the effectiveness of the Government's interaction with citizens.

სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგი

განხორციელების პერიოდი: 1 ივლისი 2005 – 1 ივლისი 2006

დაფინანსების წყარო: ეროვნული შემოწირულობა დემოკრატიისათვის

პროექტი ემსახურება ხუთი ტიპის შემოსავლების წყაროების და სახელმწიფო ხარჯების გააანალიზებას, ესენია: (1) პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, (2) პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, (3) საპროცედურო გარიგებიდან შემოსული თანხები, (4) თავდაცვის სამინისტროს არასაბიუჯეტო ფონდი და (5) სახაზინო ანგარიშები.

პროექტი მოიცავს შემდეგ საქმიანობებს: (1) ამ ხუთი წყაროს მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, (2) თითოეულ წყაროსთან მიმართებით მონიტორინგის შედეგების აღწერა ყოველთვიურ ანგარიშში, (3) ყოველთვიური ანგარიშების გავრცელება სახელისუფლებო ორგანოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიაში, (4) ამ სფეროებში გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით რეკომენდაციების მომზადება.

STATE EXPENDITURE MONITORING

Period of performance: 1 July 2005 – 1 July 2006

Source of funding: National Endowment for Democracy

The project is tracking state expenditures and sources of revenue through five special investigations: (1) the President's Reserve Fund, (2) revenues from privatization, (3) "plea bargaining" revenues, (4) the non-budgetary defense fund, and (5) the treasury accounts. The project involves the following activities: (1) monitoring cash flow into and out of five entities, (2) preparing monthly reports documenting the sources of funds and the amount and type of expenditures for each investigation, (3) distributing these reports to the Ministry of Finance, Chamber of Control, Parliament, Treasury, financial institutions, other NGOs, and the press, and (4) delivering recommendations for increasing transparency in the current system of tracking funds and promoting oversight of these expenditures.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

განხორციელების პერიოდი: 1 სექტემბერი 2005 – 31 დეკემბერი 2005

დაფინანსების წყარო:
ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში

პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგების ანტიკორუფციული ქსელის სამუშაო ჯგუფისთვის გაცნობას. პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ (1) შექმნა ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარი მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც კოორდინაცია გაუწია მონიტორინგს, (2) მონიტორინგის საფუძველზე მოამზადა ალტერნატიული ანგარიში ხელისუფლების მიერ ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, (3) ალტერნატიული ანგარიში წარადგინა ანტიკორუფციული ქსელის სამუშაო ჯგუფის დეკემბრის შეხვედრაზე, რომელიც პარიზში გაიმართა და (4) ალტერნატიული ანგარიში და სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები გააცნო ქართულ საზოგადოებას.

MONITORING ADHERENCE TO THE OECD ANTI-CORRUPTION NETWORK RECOMMENDATIONS FOR GEORGIA

Period of performance: 1 September 2005 – 31 December 2005

Source of funding: OSCE Mission to Georgia

The project promoted the fulfillment of the Organization for Economic Co-operation and Development's Anti-Corruption Network (OECD/ACN) recommendations for Georgia by monitoring action taken by the Government of Georgia to implement these recommendations and presenting the respective findings to the ACN review meeting and the Georgian public. The project involved the following activities: (1) setting up an NGO coalition to monitor the action taken by the Government of Georgia to implement the OECD ACN recommendations in each of the three areas, (2) based on the monitoring, developing an alternative corruption status report presenting an analysis and critical overview of fulfilling the recommendations, (3) submitting the alternative report to the ACN review meeting to take place in Paris in December-January of 2005, and (4) disseminating the alternative report in Georgia.

უფასო სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

განხორციელების პერიოდი: 1 ივნისი 2004 – 1 მარტი 2005

დაფინანსების წყარო: ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

ამ პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ თბილისში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს გააცნო თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული სამედიცინო პროგრამების მნიშვნელოვანი დეტალები და დაეხმარა მათ ამ პროგრამებით მინიჭებული უფლებების განხორციელებაში. ამ მიზნით ორგანიზაციამ დაბეჭდა და თბილისის 160 აფთიაქსა და 40 პოლიკლინიკაში გაავრცელა 90 000 ბროშურა და 5 000 პოსტერი, რომლებშიც აღწერილი იყო უფასო სამედიცინო დახმარების მიღების ძირითადი კრიტერიუმები, პროცედურები და ვადები. პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ასევე აამუშავა ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდათ დამატებითი ინფორმაცია თბილისის მერიის სამედიცინო პროგრამებისა და პროექტთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

INCREASING PUBLIC ACCESS TO FREE MEDICAL SERVICES

Period of performance: 1 June 2004 – 1 March 2005

Source of funding: European Commission

This project improved access to healthcare for citizens qualifying for free medical services. TI Georgia informed citizens of their rights to state-subsidized medical services and assisted them in acquiring these services. For this purpose Transparency International Georgia printed and distributed 90,000 brochures and 5,000 posters explaining the contents of the state medical assistance programs, eligibility clauses, and applying procedures. The brochures and posters were distributed to 160 pharmacies and 40 hospitals in Tbilisi. As part of this project Transparency International Georgia also set up a hot line enabling citizens to receive more detailed information regarding free medical assistance programs, as well as to report on obstacles encountered.

განათლების სფეროში კორუფციის შემცირების ხელშეწყობა

განხორციელების პერიოდი: 1 მაისი 2005 – 25 აგვისტო 2005

დაფინანსების წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაგეგმვისა და ჩატარების დამოუკიდებელი მონიტორინგი. ორგანიზაციის დამკვირვებლები გამოცდებს დაესწრნენ საქართველოს ყველა საგამოცდო ცენტრში. გამოცდების დასრულების შემდეგ მათ ჩაატარეს აბიტურიენტების, მათი მშობლებისა და გამოცდების ადმინისტრატორების გამოკითხვა ამ გამოცდებისა და კორუფციის შესაძლო გამოვლინებების შესახებ. მონიტორინგის და გამოკითხვის შედეგები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააცნო განათლების სამინისტროსა და გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს.

PREVENTING CORRUPTION IN THE EDUCATION SYSTEM

Period of performance: 1 May 2005 – 25 August 2005

Source of funding: Transparency International Secretariat

TI Georgia conducted an independent assessment of the planning and implementation of the new University Admissions Examinations (UAE). In addition to having monitors inside every test site in Georgia, monitors outside conducted a public opinion survey. Parents, students, and test-administrators were surveyed regarding their opinions about the new system, education reform, and hopes for reducing corruption in the education system. TI Georgia then delivered a set of recommendations for next year's exam implementation to the National Assessment and Examination Center.

საპარლამენტო პროგრამა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

განხორციელების პერიოდი: 15 მარტი 2005 – 15 სექტემბერი 2005

დაფინანსების წყარო: კანადის საელჩო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ პარლამენტს დაეხმარა ახალი საგადასახადო კოდექსისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების რუსულ ენაზე თარგმნაში. ამ მასალების გამოყენებით ორგანიზაციის ექსპერტმა საგადასახადო სფეროში ჩაატარა სემინარები ბიზნესმენებისთვის, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ახალციხეში, სადაც მან სემინარების მონაწილეებს გააცნო საგადასახადო სფეროში მიღებული ძირითადი ცვლილებები. სემინარის მონაწილეებს დაურიგდათ ახალი კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონების რუსული თარგმანი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული ბროშურები, რომლებშიც მოკლედ იყო აღწერილი, თუ რა გავლენა ჰქონდა ახალ საგადასახადო კანონმდებლობას სამცხე-ჯავახეთის მეწარმეებზე. 2005 წლის ბოლოს ორგანიზაციამ მოამზადა ანგარიში, რომელშიც მოცემული იყო პროექტის ძირითადი შედეგები და ეს ანგარიში მიაწოდა ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტს, რეგიონის მაჟორიტარ დეპუტატებსა და სხვა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

PARLIAMENTARY OUTREACH IN GEORGIA'S REGION OF SAMTSKHE-JAVAKHETI

Period of performance: 15 March 2005 – 15 September 2005

Source of funding: The Canadian Embassy

TI Georgia worked with Parliament to facilitate a rapid translation into Russian of the Georgian tax code and related legislation. A tax code expert traveled to the region to research issues of concern and interest to citizens in the region, and prepared brochures outlining how the new tax code would affect local businesses. Upon translation of the tax code, the expert organized a series of discussions in Akhalkalaki, Ninotsimda, and Akhaltsikhe districts, explaining how the tax code affected citizens in these regions. Russian translations of the tax code and related legislation were distributed to the meeting participants as well as to other citizens in the region. In the fall of 2005 TI Georgia completed the document summarizing the project findings and submitted it to the Human Rights and Civil Integration Committee of Parliament, which handles minority issues, to majoritarian MPs in these districts, and to other interested authorities and groups.

ვესტმინსტერის სასწავლო პროგრამა

განხორციელების პერიოდი: 19 თებერვალი 2005 – 27 თებერვალი 2005

დაფინანსების წყარო: ბრიტანეთის საბჭო საქართველოში და განვითარებისა და თანამშრომლობის შვეიცარიის სააგენტო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საპარლამენტო პროგრამის დირექტორი სასწავლო პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა ლონდონში, რათა უკეთ გასცნობოდა ბრიტანულ საპარლამენტო სისტემას და დაემყარებინა საქმიანი კონტაქტები ბრიტანეთის პარლამენტთან. ლონდონში ყოფნის პერიოდში საპარლამენტო პროგრამის დირექტორი შეხვდა ბრიტანეთის პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს და მათგან მიიღო ინფორმაცია ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოში აპრობირებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პარლამენტის საქმიანობის შეფასების ეფექტური მექანიზმების შესახებ.

WESTMINSTER STUDY PROGRAM

Period of performance: 19 February 2005 – 27 February 2005

Source of funding: British Council Georgia and Swiss Agency for Development and Cooperation

TI Georgia's Parliamentary Program Director visited London in order to better understand the British Parliamentary system and establish relations with the British legislature. TI Georgia gained a better understanding of the British legislative system, acquired best practices and useful materials, and also established contacts for future cooperation. TI Georgia's Parliamentary Program Director was introduced to many interesting and innovative practices in the UK that can be applied to Georgia related to public outreach, constituency issues, and committee self-assessment.

სხვა საქმიანობა და ღონისძიებები
Other Activities and Events

ორგანიზაციის ხუთი წლის იუბილის აღნიშვნა

2005 წლის 16 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აღნიშნა საქმიანობის ხუთი წლის იუბილე. ორგანიზაცია საქართველოში 2000 წლის 7 მაისს დაარსდა. მისი პირველი პროექტი მიზნად ისახავდა 2000 წელს მოქმედი ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობასა და ამ ჯგუფის მუშაობაში საზოგადოების მონაწილეობის გააქტიურებას. გასული ხუთი წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გასწია სხვადასხვა სახის სამუშაოები, მათ შორის: მონაწილეობა მიიღო მთავრობის ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავებაში, მისი საზოგადოებისთვის გაცნობასა და ამ პროგრამის განხორციელების შეფასებაში; შეამოწმა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების საბიუჯეტო ხარჯები; სკოლებში უფროსკლასელთათვის მოაწყო ანტიკორუფციული დისკუსიები და კონკურსი კორუფციის თემაზე საუკეთესო ესეს გამოსავლენად; პოლიციელთათვის ჩაატარა ტრენინგები საარჩევნო პროცედურებისა და საარჩევნო პროცესში პოლიციის როლის შესახებ; საქართველოს პარლამენტს დაეხმარა პარლამენტის ქცევის კოდექსის მომზადებაში და ასევე, საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის ამაღლებაში; განახორციელა თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამების მონიტორინგი და სხვ.

ხუთი წლის იუბილისადმი მიძღვნილ მიღებას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნესმენები და ჟურნალისტები.

FIFTH ANNIVERSARY OPEN HOUSE

Transparency International Georgia celebrated its fifth year anniversary on 16 May 2005. TI Georgia was established on 7 May 2000, commencing our first activities “Establishment of Support Office for the National Anti-Corruption Program Elaboration Group” and “Public Outreach Assistance” in August. Over this past five years, TI Georgia’s activities have encompassed: assisting the Georgian government in developing Georgia’s anti-corruption program and soliciting public input into this process and analyzing the implementation of this program; monitoring expenditures of various state institutions; conducting anti-corruption discussions and an essay competition for high school students; conducting trainings for Georgian policemen on voting regulations and their role in safeguarding elections; assisting Georgian parliamentarians in developing the Parliamentary Code of Conduct, as well as in enhancing public participation in the legislative process; monitoring and assessing the efficiency of social welfare programs of Tbilisi municipality; and carrying out other activities and events aimed at strengthening Georgia’s integrity system.

During the Open House, parliamentarians, members of civil society, and business leaders all came to celebrate TI Georgia’s successes and encourage our future endeavors.

ჟურნალისტების კონკურსი

2005 წლის 20 დეკემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოავლინა საუკეთესო საგამომძიებლო კონკურსში გამარჯვებული სტატია და ჟურნალისტი.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ ჟურნალისტებს, რომელთაც 2005 წლის 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე ქართულენოვან გაზეთში ან ჟურნალში გამოქვეყნებული ჰქონდათ სტატია კორუფციის თემაზე. სტატიების შეფასება მოხდა ხუთი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით: 1) სტატიის სტრუქტურული გამართულობა, 2) რამდენად დაბალანსებული იყო სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია, 3) წერის სტილი, 4) სტატიაში მოცემული ინფორმაციის წყაროს მითითება, 5) განხილული საკითხის აქტუალობა.

პირველი ადგილი მიიღო გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „გადაგდებული მეტალურგია“. მის ავტორს, მაია მოსაიშვილს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გადასცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით და სპეციალური სერტიფიკატი. სერტიფიკატი გადაეცა გაზეთ „24 საათსაც“. წამახალისებელი მეორე ადგილი წილად ხვდა ფოთის დამოუკიდებელ გაზეთში „თავისუფალი სიტყვა“ გამოქვეყნებულ სტატიას – „კორუფციული გარიგების ნიშნები და აფერა ბიუჯეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში“. ამ სტატიის ავტორს, ელისო ჯანაშიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გადასცა წამახალისებელი პრიზი და სპეციალური სერტიფიკატი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საუკეთესო საგამომძიებლო სტატიებს გამოავლენს სეზონურად. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც კორუფციის თემასთან დაკავშირებულ სტატიებს აქვეყნებენ ქართულენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში. კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ორგანიზაციის ვებგვერდზე: www.transparency.ge

TI GEORGIA'S JOURNALISM AWARD

On 20 December 2005, Transparency International Georgia announced the best article and the winner of the competition for excellence in investigative journalism.

Any journalist who had published an article on corruption-related issues during the fall of 2005 (September 1 - November 30) in a Georgian language newspaper or magazine was able to participate in the competition. Articles were judged according to structure, balance, attribution, importance, and concision.

The article "Wasted Metallurgy" published in **24 Hours** took the first place. The winner of the competition, Maia Mosiashvili, received a cash prize of 500 GEL. In addition, both the author and **24 Hours** were awarded a special certificate. Second place was given to Eliso Janashia, editor of the independent newspaper **Free Word** of Poti, for the article "Corrupt Deals and Fraud in Selection of Bank to Maintain Budgetary Funds." She was awarded a special certificate and received an encouragement prize.

The investigative journalism award will be given by Transparency International Georgia on a quarterly basis. Journalists who publish articles regarding corruption in Georgian language newspapers are eligible to participate in the competition. Additional information is available on our website: www.transparency.ge.

„ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“

2002 წლის მარტში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დააარსა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“ (MCA), რომელიც მიზნად ისახავდა განვითარებადი ქვეყნებისთვის სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ხელშეწყობისთვის ფინანსურ მხარდაჭერას. ამ ფონდიდან თანხები გამოეყო იმ ქვეყნებს, რომლებიც პატივს სცემდნენ კანონის უზენაესობას, ეკონომიკურ თავისუფლებას და მოქალაქეთა კეთილდღეობას. ამ ნიშნით სულ შეირჩა ცხრა ქვეყანა, რომელთა შორისაც საქართველოც აღმოჩნდა. შესაბამისად, საქართველო „ათასწლეულის გამოწვევის ფონდიდან“ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 295 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს დახმარების სახით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ სახის საერთაშორისო დახმარებას დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ ეს განვითარებადი ქვეყნების ხელშეწყობისკენ გადადგმული სწორი ნაბიჯია, ვინაიდან „ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღები ქვეყანა თავად წყვეტს, რა პრიორიტეტულ სფეროებზე უნდა დაიხარჯოს მიღებული თანხა და მის ხარჯვასაც უშუალოდ განკარგავს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დაინტერესებულია ამ პროცესის წარმატებით და იმით, რომ აშშ-ს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ რეალური შედეგები მოიტანოს, ამდენად, საკუთარი სახსრებით თვალყურს ადევნებს „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ საქმიანობას და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მის ფინანსურ გამჭვირვალობაზე. ორგანიზაციას სურვილი აქვს, მომავალ წელს განახორციელოს ქართული მხარის მიერ ათასწლეულის ფონდიდან მიღებული თანხების განკარგვის მონიტორინგი და მაღალი დონის გამჭვირვალობის უზრუნველყოფით ხელი შეუწყოს ამ პროგრამის წარმატებას.

MILLENNIUM CHALLENGE GEORGIA

In March of 2002 US President, George W. Bush, established the Millennium Challenge Account (MCA) to provide financial assistance to developing countries to reduce poverty and stimulate economic growth. These grants are intended to promote development in countries that rule justly, invest in their people, and encourage economic freedom. Georgia has been chosen as one of nine countries to receive assistance. Through this program, Georgia will receive $295 million for four projects over a period of five years.

TI Georgia considers this new method of distributing international aid to be a positive step for developing nations because, through this program, the recipient country defines the priorities for utilizing these funds. Recipient countries then handle these funds in accordance with its originally set priorities.

TI Georgia is interested in this process because it is important for this new method to be successful and for the financial assistance provided by the U.S. to Georgia to yield real results. Though TI Georgia has not been funded specifically in order to monitor MCG, we have been following the process, especially issues related to financial transparency. In 2006 we hope to monitor the transparency of the process in order to encourage the effective use of these funds to promote Georgian development.

სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე

2005 წლის ოქტომბერში საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა ჩეხეთის“ წარმომადგენლები, რომელთაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დახმარებით ჩაატარეს შეხვედრები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა გაეზიარებინათ მათთვის თავიანთი გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის სფეროში. 28 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისში ჩატარდა სემინარი, რომელშიც ოცდახუთმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ჩეხმა ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს ჩეხეთში მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგის ძირითადი მეთოდოლოგია, გამოვლენილი შედეგები, მომდევნო ნაბიჯები და სახელმწიფო შესყიდვების ანალიზთან დაკავშირებული სხვა დეტალები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მომავალშიც განაგრძობს ჩეხ კოლეგებთან თანამშრომლობას, რათა ჩეხეთში წარმატებით განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგია საქართველოშიც დანერგოს და ამით ხელი შეუწყოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

SEMINAR ON PUBLIC PROCUREMENT

On 28 October 2005, Transparency International Czech Republic procurement experts traveled to Georgia to meet with Georgian NGOs in order to share their experience in monitoring public procurement at the central and municipal levels. Over twenty-five representatives from Georgian NGOs participated in the workshop. TI Czech experts presented their assessment of the losses caused by inefficiency and corruption in this system. They also discussed their methods for monitoring public procurement in the Czech Republic, the main problems encountered during the monitoring processes, lessons learned from their experience, main highlights of the monitoring results, follow-up steps, and other issues of interest to the workshop participants.

TI Georgia will continue to cooperate with our Czech counterparts in this sphere and apply their knowledge and suggestions to our future programming that addresses problems in Georgia's public procurement.

სამომავლო გეგმები
Future Activities

მომავალში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ კვლავ ეცდება გააფართოოს ორგანიზაციის პროგრამული სფეროები, ხელი შეუწყოს ხელისუფლების გამჭვირვალობის ამაღლებას, გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის როლი რეფორმების მომზადებისა და განხორციელების პროცესში.

კერძოდ, 2006 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“:

ა) მონიტორინგს გაუწევს ხელისუფლების მიერ ანტიკორუფციული სტრატეგიისა და რეკომენდაციების განხორციელებას, მათ შორის: პრეზიდენტის 550-ე ბრძანებულების, მთავრობის 377-ე განკარგულების, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და ნატო-ს ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მონიტორინგის შედეგები გამოქვეყნდება პერიოდულად.

ბ) განახორციელებს პროექტებს, რომელთა მიზანიც იქნება პარლამენტის საქმიანობისა და ახალი კანონების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმუშავებს მაჟორიტარ დეპუტატებთან და მათ რაიონულ ბიუროებთან და რეგიონის მოსახლეობას გააცნობს პარლამენტში განხილულ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს; ასევე ითანამშრომლებს საპარლამენტო კომიტეტებთან და ფრაქციებთან, რათა დაეხმაროს მათ საზოგადოებასთან ურთიერთობის უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვაში.

In the future, TI Georgia will continue to focus on expanding our sectoral expertise, increasing government transparency, and facilitating public input into reform development and implementation processes. In particular, during 2006, TI Georgia's activities will include, but will not be limited to:

a. Monitoring government adherence to the reform and anti-corruption objectives as defined in: the National Anti-Corruption Strategy (Presidential Decree # 550) and its Implementation Action Plan (Government Decree #377); Georgia's European Neighbourhood Policy Action Plan; the Anti-Corruption Recommendations of the Organization for Economic Development and Cooperation; and the NATO commitments under the Individual Partnership Action Plan. Monitoring results will be publicized on an ongoing basis.

b. Increasing public awareness and input into the work of parliament by improving communication between majoritarian members of parliament and their constituencies and informing regional population about new laws adopted by parliament and its future legislative agenda. In addition to working with majoritarian members, TI Georgia will also work with parliamentary committees and factions to assist them in enhancing their public relations' mechanisms.

გ) იმუშავებს სახელმწიფო ფინანსების სფეროში, რათა ხელი შეუწყოს ამ სფეროს გამჭვირვალობის ამაღლებას და ე.წ. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) რეფორმის წარმატებულ განხორციელებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საზოგადოებას მიაწოდებს ინფორმაციას MTEF-ის ძირითადი პრინციპებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ მათი დანერგვის შესახებ. საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ ჩატარდება პერიოდული ტრენინგ-სემინარები ჟურნალისტებისთვის.

დ) გამართავს შეხვედრებს საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებთან, რათა მათ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში განვითარებულ ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით და ამ გზით ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასა და ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცებას.

ე) შეაფასებს ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტურობას და კანონთან მათ შესაბამისობას. ამ მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ჩაატარებს კვლევებს, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს და მოამზადებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართული იქნება არსებული ადმინისტრაციული პროცედურების დახვეწისაკენ.

c. Promoting transparency and integrity in the sphere of public finance by supporting Medium Term Expenditure Framework (MTEF) implementation by the Georgian government and informing the public about its main components and their enforcement by Georgia. TI Georgia will also organize seminars for print journalists to familiarize them with the budgetary process in Georgia and the reforms being carried out in the financial sector.

d. Promoting civil integration of ethnic minorities in Georgia by informing them of major political and economic developments, providing them with effective mechanisms to forward their concerns and suggestions to the government, and involving them in discussions on issues related to civil integration and strengthening local democracy.

e. Developing the government's administrative procedures by analyzing problems in this field and suggesting means for their eradication. For this purpose TI Georgia will identify the most demanded public services and documents, evaluate the legality and practicality of their acquisition by citizens, and develop specific recommendations for increasing the efficiency of this process.

ვ) გააანალიზებს ხელისუფლების სარეფორმო პოლიტიკას, მის შედეგებსა და ამ შედეგებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას, რისთვისაც ჩაატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ სხვა აქტივობები და ღონისძიებები – კერძოდ, კორუფციისა და დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, რეფორმების პროცესში ხელისუფლების ხელშეწყობისა და საქართველოში ძლიერი ინსტიტუტების შექმნა – მისი ძირითადი მიზნების განხორციელებისკენ იქნება მიმართული.

f. Assessing the government's reform strategies, their outcomes, and public satisfaction with these outcomes by conducting public opinion surveys on the prevalence of corruption in different spheres and the most important problems in Georgia as observed by her citizens.

Other activities of TI Georgia will also be aimed at fulfilling our main objectives – increasing access of local populations to information on corruption and on reform, assisting the government in facilitating reform in sectors where corruption exists, and contributing to building strong institutions in Georgia.

გამგეობის წევრები და თანამშრომლები

Members of the Board and Executive

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობა (2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

TI Georgia Board of Directors (as of 1 April 2006)

მარკ მალენი, *გამგეობის თავმჯდომარე* — MARK MULLEN, *Chair*

ჯაბა ებანოიძე, *მდივანი* — JABA EBANOIDZE, *Secretary*

ნიკა ღვინაძე, *წევრი* — NICK GVINADZE, *Member*

ლევან რამიშვილი, *წევრი* — LEVAN RAMISHVILI, *Member*

თამუნა ქაროსანიძე, *წევრი* — TAMUNA KAROSANIDZE, *Member*

აღმასრულებელი (2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

Staff as of 1 April 2006

თამუნა ქაროსანიძე
აღმასრულებელი დირექტორი

TAMUNA KAROSANIDZE
Executive Director

ნინა ხატისკაცი
საპარლამენტო პროგრამის დირექტორი

NINA KHATISKATSI
Parliamentary Program Director

ქემრინ ქრისტენსენი
განვითარების მენეჯერი

CAMRIN CHRISTENSEN
Development Manager

ეკატერინე ფარესაშვილი
ფისკალური პროგრამის მენეჯერი

EKATERINE PARESASHVILI
Fiscal Program Manager

ეკა დურგლიშვილი
ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი

EKA DURGLISHVILI
Financial and Administrative Manager

ანი ახალკაცი
საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი

ANI AKHALKATSI
Public Relations Coordinator

გვანცა ბაძრაძე
საპარლამენტო პროგრამის ასისტენტი

GVANTSA BAKRADZE
Parliamentary Program Assistant

თამუნა ოთარაშვილი
პროგრამის ასისტენტი

TAMUNA OTARASHVILI
Research Assistant

ზვიად სხვიტარიძე
იურიდიული მრჩეველი

ZVIAD SKHVITARIDZE
Legal Advisor

თამუნა მაჭარაშვილი
იურისტი

TAMUNA MACHARASHVILI
Lawyer

თინათინ ბრეგვაძე
პროგრამის ასისტენტი

TINATIN BREGVADZE
Program Assistant

აკაკი შენგელია
ლოჯისტიკის ასისტენტი

AKAKI SHENGELIA
Logistics Assistant

რეგიონული კოორდინატორები
Regional Coordinators

ალექსი ცუკილაშვილი, *კახეთი*
ALEKSI TSUKILASHVILI, *Kakheti*

პაატა შარაშენიძე, *იმერეთი*
PAATA SHARASHENIDZE, *Imereti*

ოთარ ცინცაძე, *ქვემო ქართლი*
OTARI TSINTSADZE, *Kvemo Kartli*

კახა ლომაძე, *გურია*
KAKHA LOMADZE, *Guria*

ვერა ბიწაძე, *შიდა ქართლი*
VERA BITSADZE, *Shida Kartli*

მარინა დავითაია, *სამეგრელო-ზემო სვანეთი*
MARINA DAVITAIA, *Samegrelo-Zemo Svaneti*

თამარ მაისურაძე, *მცხეთა-მთიანეთი*
TAMAR MAISURADZE, *Mtskheta-Mtianeti*

გიორგი ზედგინიძე, *სამცხე-ჯავახეთი*
GIORGI ZEDGINIDZE, *Samtskhe-Javakheti*

ნანა სოხაძე, *რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი*
NANA SOKHADZE, *Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti*

დონორები
Donors

დაარსების დღიდან
SINCE REGISTRATION

ამერიკის იურისტთა ასოციაცია/ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა

ბრიტანეთის საბჭო საქართველოში

დიდი ბრიტანეთის საელჩო თბილისში

კანადის საელჩო

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

აირის საქართველო

ეროვნული შემოწირულობა დემოკრატიისათვის

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ვენის ოფისი

ღია საზოგადოების ინსტიტუტი

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი

AMERICAN BAR ASSOCIATION CENTRAL EUROPEAN AND EURASIAN LAW INITIATIVE (ABA/CEELI)

BRITISH COUNCIL GEORGIA

BRITISH EMBASSY TBILISI

THE CANADIAN EMBASSY

ROYAL NETHERLANDS EMBASSY

EUROPEAN COMMISSION DELEGATION TO GEORGIA

IRIS GEORGIA

NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY (NED)

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION (OSGF)

ORGANIZATION FOR SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE MISSION TO GEORGIA

ORGANIZATION FOR SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE (OSCE)

OPEN SOCIETY INSTITUTE (OSI)

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION (SDC)

TRANSPARENCY INTERNATIONAL SECRETARIAT (TI-S)

UK DEPARTMENT FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (DFID)

ფინანსური მონაცემები
Financial Data

დონორები
Donors



შემოსავლები წლების მიხედვით (ლარებში)
Income by Years (in GEL)



დანახარჯები
Expenditures by Categories



შ.პ.ს. ღვინიანიძე - პარტნიორი აღრიცხვაში
Gvinianidze – Partner in Accounting LLC

აუდიტორული დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარდა კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2005 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული საოპერაციო უწყისის აუდიტი. აუდიტი ეყრდნობა ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, წარმოდგენილს საგრანტო კონტრაქტების, საქონლის/მომსახურების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების, ფულის გადახდის დოკუმენტების, საბანკო ამონაწერების, სხვადასხვა ხელშეკრულებების, ბუღალტრული წიგნის ამონაწერების და სხვა პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების სახით.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ხასიათის უზუსტობებს. აუდიტი გულისხმობს მტკიცებულებათა შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი, აგრეთვე ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კავშირის 2005 წლის ფინანსურ მდგომარეობას.

19 აპრილი 2006 წ.

აუდიტორი ლაშა ღვინიანიძე

27/b, Kavtaradze st., Tbilisi, Georgia | Tel: (+995 77) 790 365
თბილისი, ქავთარაძის 27/ბ | ტელ: (8 77) 790 365

შ.პ.ს. ღვინიანიძე - პარტნიორი აღრიცხვაში
Gvinianidze – Partner in Accounting LLC

Independent Auditor's Report

We have audited the statement of operations of Transparency International Georgia from the period of 1 January to 31 December 2005. The audit is based upon information delivered by the organization's administration that includes grant contracts, documents confirming purchasing goods/service, cash disbursement documents, bank receipts, various contracts, ledger accounts, and other primary accounting documents.

We conducted our audit in accordance with the International Standards on Auditing. Those standards require that we plan and perform our audit to obtain reasonable assurance about whether the financial statements are free of material misstatement. An audit includes examining, on a test basis, evidence supporting the amounts and disclosures in the financial statements. An audit also includes assessing the accounting principles used and significant estimates made by the management, as well as evaluating the overall financial statement presentation. We believe that our audit provides a reasonable basis for our opinion.

In our opinion, the financial statement referred to above presents fairly, in all material respects, the financial position of TI Georgia for 2005.

19 April 2006

Auditor L. Gvinianidze

27/b, Kavtaradze st., Tbilisi, Georgia | Tel: (+995 77) 790 365
თბილისი, ქავთარაძის 27/ბ | ტელ: (8 77) 790 365